



აღმოსავლეთის კარტინორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა



## საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 19 თებერვალი, 2016 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტულუში - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ლიბერალური აკადემია თბილისი
2. ირინა ფუტკარაძე - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საზოგადოებრივი დამცველი (სკაიპ ჩართვა)
3. ნათია კუპრაშვილი - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს რეგიონალურ მაუწყებელთა ასოციაცია
4. მანანა წულაია - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანა"
5. ანზორ დუნდუა - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ენერგორესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
6. მანანა დევიძე - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"
7. ნინო ტლაშაძე - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ადამიანის უფლებათა ცენტრი
8. ნუკრი ყველაშვილი - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ახალგაზრდული ალტერნატივა
9. ირაკლი პეტრიაშვილი - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

## განსახილველი საკითხები:

- საერთო კრებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული თემები;
- მეოთხე სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ ინიცირებული წინადადებების განხილვა;
- განათლების მინისტრთან შეხვედრა;
- პრემიერ-მინისტრისადმი მიმართვის ტექსტის შეთანხმება;
- ჯგუფთაშორისი ქვეჯგუფის ჩამოყალიბება;
- ახალი წევრების მიღება;
- სხვა.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

საბჭოს წევრებმა პირველ საკითხად განიხილეს საერთო კრებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული თემები, მათ შორის კოორდინატორების კანდიდატების დასახელების პროცედურები და ვადები, ამასთანავე იმსჯელეს სამუშაო ჯგუფების 2016 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მეორე საკითხად განხილული იქნა მეოთხე სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ ინიცირებული ქვეჯგუფების შექმნის წინადადება. საბჭომ დადებითად გადაწყვიტა განათლებისა და მეცნიერების ქვეჯგუფის ჩამოყალიბება. რაც შეეხება გენდერულ საკითხებზე მომუშავე ქვეჯგუფის შექმნას, რამდენადაც პირველი ჯგუფის ფარგლებში უკვე არსებობს გენდერულ საკითხებზე მომუშავე საინიციატივო ჯგუფი, გააქვდა ჯგუფთაშორისი ქვეჯგუფის ჩამოყალიბების იდეა, მას შემდეგ, რაც აღნიშნულ თემას განიხილავს პირველი სამუშაო ჯგუფი.

მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანა"-ს წარმომადგენელმა, ასევე წარადგინა მე-2 სამუშაო ჯგუფის ინიციატივა, მესამე სამუშაო ჯგუფთან ერთად შეიქმნას ტრანსპორტის ქვეჯგუფი და მდგარდი განვითარება/მწვანე ეკონომიკის ქვეჯგუფი, რაზეც მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორებისგან თანხმობა მიიღო.

საქართველოს რეგიონალურ მაუწყებელთა ასოციაციის წარმომადგენელმა გააქვდა წინადადება ქვეჯგუფების კოორდინატორების უფლებებისა და შესაბამისი ჯგუფების წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდის შესახებ.

რამდენადაც წესდებაში არაფერია ნახსენები ჯგუფთაშორისი ქვეჯგუფის არჩევის შესახებ, ახალგაზრდული ალტერნატივის წარმომადგენელმა დასვა შეკითხვა ქვეჯგუფის ჩამოყალიბების პროცედურების შესახებ. საკოორდინაციო საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და გადაწყდა ჯგუფთაშორისი ქვეჯგუფის ჩამოყალიბებისას ისარგებლონ იგივე პრინციპით, რაც მოქმედებს ჯგუფების ჩამოყალიბების შემთხვევაში, ხოლო კოორდინატორი აირჩიონ თავად ქვეჯგუფის წევრებმა. ასევე ქვეჯგუფის კოორდინატორს მიეცეს

შესაძლებლობა სათათბირო ხმით დაესწროს სხდომას, თუ კი მის მიერ ინიცირებული საკითხების განხილვა მოხდება საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე.

საბჭომ ასევე განიხილა განათლების მინისტრთან შეხვედრის საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს პლატფორმამ კიდევ ერთხელ მიმართოს წერილობით.

საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაციის წარმომადგენელმა, წარადგინა მოკლე პრეზენტაცია საქართველოს ენერგეტიკული მდგომარეობის შესახებ და ისაუბრა პრემიერ-მინისტრისადმი გავრცელებული მიმართვის ტექსტზე. საბჭოს წევრებმა კიდევ ერთხელ დააფიქსირეს მხარდაჭერა მიმართვის აღნიშნული ფორმისადმი.

ბოლო საკითხად, საბჭომ განიხილა გაწევრიანების მსურველი კანდიდატების აპლიკაციები. საბჭომ დადებითად გადაწყვიტა შემდეგი ორგანიზაციების გაწევრიანების საკითხი:

- საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი (სპმთპ)
- საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირი
- „პი ემ სი“ კვლევითი ცენტრი
- საქართველოს ჟურნალისტიკური ქარტია
- ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი (JRC)

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა